



21.08.2014

მწვანე ალტერნატივა: ჰესის მშენებლობის ნებართვა სათანადო კვლევის გარეშე გასცეს

დათო ფარულავა

შეუერთდი განხილვას

„გარემოს დაცვის სამინისტრომ დარიალში ჰესის მშენებლობაზე ნებართვა სათანადო კვლევის გარეშე გასცა, რაც პირველ რიგში იქ დასაქმებული ადამიანების, შემდეგ კი თავად ჰესისთვის არის საშიში“, - ამბობს არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივის“ აღმასრულებელი დირექტორი ნინო გუჯარაიძე „ლიბერალთან“ საუბრისას.

როგორც გუჯარაიძე აღნიშნავს, ორგანიზაციას სამინისტროსთან ამ საკითხის შესახებ სასამართლო დავაც კი ჰქონდა. სამინისტრომ არ გაიზიარა მათი პოზიცია, რომ მშენებლობის დაწყებისათვის საჭირო დოკუმენტაცია სრულად არ იყო წარმოდგენილი.

გუჯარაიძის თქმით, მომხდარის პრევენცია მხოლოდ წინასწარი შესწავლის შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი, რადგან კვლევა წინასწარი რისკების ცოდნის შესაძლებლობას იძლევა.

„არ შეიძლება, სახელმწიფო უწყება საკითხს ასე უდგებოდეს და ბოლოს ასეთ სავალალო შედეგს ვიღებდეთ. ეს ის შემთხვევაა, როდესაც არასამთავრობო ორგანიზაციებმა შეიძლება თქვან - „ხომ ვამბობდით“, - აღნიშნავს ნინო გუჯარაიძე.

წუხელ დევდორაკის ხეობაში მთის მასა ინტენსიური წვიმისა და ღვარცოფის შედეგად ჩამოწვა. დარიალი ჰესის მშენებლობაზე დასაქმებული ორი ადამიანი, რომლებიც სტიქიის დროს გვირაბში მუშაობდნენ, ამ დრომდე

იქებნება.



Add a comment...

Also post on Facebook

Posting as Natalia Ksovreli
(Change)

Comment

Facebook social plugin

